ფედერაციის თასზე

დაიწყო სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასის გათამაშება.

თბილისის „დინამო“ და ლანჩხუთის „გურია“ 19 აპრილს სტუმრად თამაშობდნენ ერევანში და ბაქოში.

დინამოელებმა „არარატთან“ ფაქტიურად სათადარიგო შემადგენლობა გამოიყვანეს მინდორზე, რაც შეეხება მასპინძლებს, ისინიც შესუსტებული შემადგენლობით თამაშობდნენ, ვინაიდან ძირითადი გუნდი ამჟამად უცხოეთში იმყოფება ამხანაგური თამაშების ჩასატარებლად.

პირველი ბურთი ერევნელმა დემირჭიანმა გაიტანა, მაგრამ დინამოელებმა შემდგომში ხელთ აიღეს ინიციატივა, ჟორდანიამ ანგარიში გაათანაბრა. გურულმა კი დააწინაურა თვისი გუნდი. ანგარიშით 2:1 გაიმარჯვეს თბილისელებმა.

“ლელო”, 21.04.1987